ქუთაისელები – პირველ ადგილზე

თბილის ი. „დინამოს“ სტადიონი. 11 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:2 (0:0).

„დინამო“: ნარსია, გოგიჯანაშვილი, ლორთქიფანიძე, კანთელაძე, ჭოხონელიძე, ხურცილავა, ჭითაური, ჭეიშვილი, ხუციშვილი, ასათიანი, ჭანტურია (ჯამარაული).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, სიამაშვილი, ასიტაშვილი (ზარია), ერქომაიშვილი, ვეკუა (ნოდია), ხაჟალია, ხერხაძე (ჭითანავა).

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მატჩის მოგებაში, უპირველესად ყოვლისა, ტორპედოელები იყვნენ დაინტერესებული, ვინაიდან გამარჯვება მათ გათამაშების ფინალში გასვლის შანსს აძლევდა. ამიტომ ისინი სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ მას. მაგრამ თამაშმა სპორტული მნიშვნელობა თავიდანვე დაკარგა იმის გამო, რომ დინამოელები მინდორზე სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდნენ (ძირითადი გუნდი ლესელიძეში გაემგზავრა საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად).

შესვენებამდე უინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა შუა მინდორზე. ქუთაისელებს საერთო უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ მეტოქის საჯარიმო მოედანზე ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და თითქმის არ ურტყამდნენ კარში. ეს განსაკუთრებით ეხებათ ხერხაძეს და ხაჟალიას.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. „ტორპედოს“ შეტევებს უფრო მწვავე ხასიათი მიეცა, ხოლო ხაჟალიამ მეტი აქტიურობა გამოიჩინა კარის სიახლოვეს. მან მე–14 წუთზე გახსნა ანგარიში და შემდეგ, უკვე მატჩის დასასრულს, მეორე ბურთიც გაიტანა თბილისელთა კარში.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი თავიანთ ჯგუფში და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ჯ. ვაჩიბერიძე
“ლელო” 12.III. 1967 წ.